პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 27 ივლისი, 1943 წ. № 158 (6783). ფასი 20 კაპ.

ჩრდილოეთის ფლოტის სამხედრო საბჭოს გოლოვკოს ნიკოლაევს

ვულოცავ მეთაურებსა და წითელფლოტელებს ჩრდილოეთის ფლოტის x წლისთავს და ვუსურვებ ახალ წარმატებებს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ი. სტალინი

წითელი არმიის სიმტკიცე და შეტევითი ძალა

„პრავდის“ მოწინავე—26 ივლისი

ამხანაგმა სტალინმა, მიესალმა და მიულოცა რა საბჭოთა კავშირის მეომრებს 1 მაისი, ბრძანა: „მთელმა წითელმა არმიამ განამტკიცოს და განავითაროს ზამთრის ბრძოლების წარმატებანი, არ დაუთმოს მტერს არც ერთი მტკაველი ჩვენი მიწა-წყალი, მზად იყოს გადამწყვეტი ბრძოლებისათვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. თავდაცვაში გამოიჩინოს ჩვენი არმიის მებრძოლების დამახასიათებელი შეუპოვრობა და სიმტკიცე, შეტევაში—გამბედაობა, ჯარების სწორი თანამოქმედება, გაბედული მანევრი ბრძოლის ველზე, რაც მოწინააღმდეგის გარშემორტყმითა და მოსპობით თავდება“.

წითელი არმია აღფრთოვანებული ზამთრის კამპანიაში მტერზე მოპოვებული გამარჯვებებით და აღგზნებული სურვილით—მთლად მოსპოს ფაშისტი მხეცი, წმიდად ასრულებდა და ასრულებს თავისი საყვარელი ბელადისა და მხედართმთავრის ბრძანებას. იგი ემზადებოდა გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. გერმანელთა ზაფხულის შემოტევამ ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდ-კურსკის მიმართულებებით მოუმზადებელს როდი მოუსწრო ჩვენს ჯარებს. ისინი მზად იყვნენ არა მარტო მოეგერიებინთ გერმანელთა შემოტევა, არამედ მძლავრი კონტრდარტყმებიც ეგემებინათ მათთვის. საბჭოთა მეომრები მტრის ახალ შემოტევას შეხვდნენ ისეთი შეუპოვრობითა და გმირობით, ისეთი სიმტკიცითა და დისციპლინით, საბრძოლო ტექნიკის ცეცხლის ისეთი სიმძლავრით, რომ ჰიტლერელთა სარდლობამ ვერ გაბედა გამოეცხადებინა თავისი არმიის დაწყებული გენერალური შეტევის ამბავი და, იგემა რა შემმუსვრელი დარტყმები, მორცხვად დაიწყო ლულლული წითელი არმიის შეტევის შესახებ.

ფართოდ მოსაზრებული გეგმებისა და პატარა უბნებზე ჯარებისა და ტექნიკის დიდი კონცენტრაციის მიუხედავად, გერმანელებისათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა ჩვენი თავდაცვის წინააღმდეგობის გატეხა. მიუხედავად იმისა, რომ შეტევაზე გამოყვანილ იქნენ მტრის რჩეული ჯარები—ორიოლისა და ბელგოროდის რაიონში თავმოყრილი მთავარი ძალები, გერმანელთა ზაფხულის შემოტევა დაამსხვრია ჩვენი ჯარების სიმტკიცემ, თავდადებამ, დისციპლინამ, ორგანიზებულობამ და მხედრულმა ოსტატობამ.

„უდიდესი ზარალის ფასად ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ, მოწინააღმდეგემ მოახერხა მარტო სოლიეთ შემოჭრილიყო ჩვენს თავდაცვაში ორიოლ-კურსკის მიმართულებით ცხრამდე კილომეტრი სიღრმით და ბელგოროდ-კურსკის მიმართულებით—15-დან 35 კილომეტრამდე. გააფთრებულ ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა მოჰქანცეს და სისხლისაგან დასცალეს გერმანელთა რჩეული დივიზიები და შემდგომი გადამწყვეტი კონტრდარტყმებით არა მარტო უკუაგდეს მტერი და მთლიანად აღადგინეს მდგომარეობა, რომელიც მათ 5 ივლისამდე ეკავათ, არამედ მტრის თავდაცვაც გაარღვიეს და ორიოლისაკენ 15-დან 25 კილომეტრამდე წაიწიეს“,—ნათქვამია უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის, ამხანაგ სტალინის გუშინ გამოქვეყნებულ ისტორიულ ბრძანებაში.

ჯამლივით გაიფანტა ლეგენდა გერმანელთა ახალი ტექნიკის ძლიერების შესახებ, „...გამოაშკარავებულია ლეგენდა იმის შესახებ, რომ ზაფხულში გერმანელები შეტევაში მუდამ წარმატებებს აღწევენ, ხოლო საბჭოთა ჯარები თითქოს იძულებული არიან უკან იხევდნენ“.

საბჭოთა ქვეითმა ჯარმა, მამაცმა მეთაღმეებმა, სახელოვანმა არტილერისტებმა, ტანკისტებმა, მფრინავებმა, ზედმიწევნით დაეუფლნენ რა საბჭოთა სამშობლოს მიერ მათთვის მიცემულ ტექნიკას, გააქარწყლეს მტრის ვარაუდები, საბოლოოდ უყვეს ლიკვიდაცია გერმანელთა ივლისის შემოტევას და, გაარღვიეს რა მოწინააღმდეგის თავდაცვა, გასწიეს დასავლეთისაკენ.

საომარ ასპარეზებზე გაჩაღებული ბრძოლები მოწმობენ საბჭოთა კავშირის გაზრდილ სამხედრო ძლიერებას. ისინი მეტყველებენ, რომ წითელი არმია სამამულო ომის მსვლელობაში მტრისათვის მრისხანე ძალად გადაიქცა, რომ იგი გამოიწრთო ბრძოლებში, შეიძინა დიდი სამხედრო გამოცდილება, მოახდინა თავისი რიგების რეორგანიზაცია და გარდაჰქმნა ისინი ომის ახალი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად, რომ მან ისწავლა ომის ისე წარმოება, როგორც ამას მოითხოვს გამარჯვების საქმე, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი. ჩვენი მეთაურები გახდნენ სამხედრო საქმის ოსტატები, მოქნილი ტაქტიკის—მანევრირების ტაქტიკის ოსტატები. გერმანელთა ზაფხულის შემოტევის გადაჭრით უკუგდება, მტრის თავდაცვის გარღვევა მთელ რიგ უბნებზე ამტკიცებენ წითელი არმიის სტრატეგიისა და ტაქტიკის უპირატესობას გერმანელთა ნაქეს სტრატეგიასა და ტაქტიკასთან შედარებით.

ჰიტლერელებს არ შეუძლიათ თავიანთი 1943 წლის შემოტევის ჩაშლისათვის ბრალი დასდონ თავიანთ მოკავშირეებს — იტალიელებს, რუმინელებს, უნგრელებს. მათი ჯარები ჯერ კიდევ არ არიან წესრიგში მოყვანილნი იმ დარტყმების შემდეგ, რაც წითელმა არმიამ მათ ზამთრის კამპანიაში აგემა. ისინი არ მონაწილეობდნენ ამ შეტევაში. დამარცხებას განიცდიან გერმანელთა რჩეული ჯარები. მათი გააფთრებული იერიშები, რომლებიც მათ მძიმე ტანკების, თვითმავალი ზარბაზნებისა და ავიაციის დახმარებით მოჰქონდათ, დაიმსხვრა საბჭოთა ჯარების შეურყეველ სიმტკიცეზე.

ყოველდღიური ოპერატიული ცნობები საბჭოთა ხალხს ამცნობენ წითელი არმიის სულ ახალ და ახალ წარმატებებს. ჩვენი ჯარები, სძლევენ რა მტრის წინააღმდეგობას, განაგრძობენ შეტევას. საბჭოთა მეომრების დარტყმების შედეგად დღითი-დღე მატულობს გერმანელთა ზარალი ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ.

წითელი არმიის შეტევა გრძელდება. თავისი ურყევი ძალის შეგნება სულ უფრო და უფრო ეუფლება მებრძოლთა და მეთაურთა მასებს. კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა იარაღის გამარჯვების რწმენა. უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის, ამხანაგ სტალინის ბრძანება გერმანელთა იელისის შემოტევის ლიკვიდაციის შესახებ, რითაც მაღალი შეფასება მიეცა იმ ჯარებს, რომლებსაც ხელმძღვანელობენ არმიის გენერალი ამხანაგი როკოსოვსკი, არმიის გენერალი ამხანაგი ვატუტინი, გენერალ-პოლკოვნიკი ამხანაგი პოპოვი, კიდევ უფრო აღაფრთოვანებს საბჭოთა მეომრებს ახალი საბრძოლო სგმირო საქმეებისათვის, ხოლო ზურგის მუშაკებს — თავდადებული შრომისათვის ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ამხანაგ სტალინის ბრძანებას საბჭოთა ხალხი და მისი წითელი არმია უდიდესი აღმავლობით, სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ. საავიაციო ნაწილის მიტინგზე კაპიტანმა ლუკიანცევმა სთქვა: „ამხანაგ სტალინის ბრძანება ჩვენ ახალი გამარჯვებებისათვის აღგვაფრთოვანებს. სამშობლომ ჩვენ შესანიშნავი საბრძოლო მანქანები მოგვცა. თითოეული ჩვენი გაფრენა ახალი შემმუსვრელი დარტყმა უნდა იყოს გერმანელი ფაშისტი ოკუპანტებისათვის. ტყვიამფრქვევისა და ზარბაზნის თითოეული ჯერი აუცდენლად უნდა გმირავდეს საჰაერო მტერს. საბჭოთა თვითმფრინავიდან ჩამოგდებული თითოეული ბომბი უნდა აჩქარებდეს ფაშისტი კაციჭამიების დაღუპვას“. ზურგის მუშაკები ფრონტისადმი დახმარების შემდგომი გაძლიერებით უპასუხებენ ჩვენი ბელადისა და მხედართმთავრის ბრძანებას.

ჰიტლერული არმია სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს ჩვენს შეტევას. მტერი ჯერ კიდევ ძლიერია. იგი თავს უყრის რეზერვებს, კონტრიერიშებზე გამოჰყავს სულ ახალი და ახალი ნაწილები, გადაჰყავს ჯარები ერთი უბნიდან მეორეზე და ცდილობს ამოავსოს ჩვენი ჯარების მიერ გერმანელთა თავდაცვაში შენგრეული ადგილები.

კარგი მდგომარეობის გამო როდი მორთეს გოდება გერმანელებმა მძაფრ თავდაცვითი ბრძოლების შესახებ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. მტერმა უკვე იგემა ახალი შემმუსვრელი დარტყმების ძალა წითელი არმიისა. საბჭოთა მეომრები, თავიანთი დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ბრძანებით აღფრთოვანებულნი, სულ უფრო და უფრო გამანადგურებლად დაარტყამენ ფაშისტ მხეცს და მოამზადებენ ჩვენი გამარჯვების ჟამს.

სიკვდილი გერმანელ დამპყრობთ!

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძანებას მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდა

ბელადის ბრძანების პასუხად

თავიანთი სამშობლოსათვის, სახელოვანი წითელი არმიისათვის უდიდესი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით შეეგებნენ საბჭოთა კავშირის მშრომელნი უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებას. ბრძანებაში აღნიშნულმა წითელი არმიის წარმატებებმა ახალი საწარმოო აღფრთოვანება გამოიწვია ჩვენი ქვეყნის საწარმოებში, საკოლმეურნეო სოფელში—ყველგან, სადაც საბჭოთა ადამიანები ფრონტისათვის შრომობენ.

ორდენოსან ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ მეფოლადენი, მგლინავნი, მსხმელნი დიდი მღელვარებით ისმენდნენ რადიოთი გადმოცემულს ბელადის ბრძანებას. მუშებმა ვალდებულება იკისრეს, რაც შეიძლება მეტი ლითონი გამოუშვან ფრონტისათვის.

„ამხანაგ სტალინის ბრძანებით აღფრთოვანებულნი, ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ კიდევ უფრო ავამაღლოთ მუშაობის ტემპები, რომ ხელიდან არ გავუშვათ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა“,—განაცხადა ყველა მუშის სახელით № 1 მარტენის საამქროს უფროსის მოადგილემ ამხ. ლებედევმა.

უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ცნობამ ამხანაგ სტალინის ბრძანების შესახებ მოლოტოვის სახელობის გორკის საავტომობილო ქარხანაში. საამქროებში და ღამის ცვლათა უბნებზე ხალხმრავალი მიტინგები მოეწყო. ოსტატ ლუპანოვის საფრონტო ბრიგადა და სხვები სტახანოვურ ვახტზე დადგნენ წითელი არმიის წარმატებითი მოქმედების აღსანიშნავად.

განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეეგება ბელადის ბრძანებას იაროსლავლის ნ ქარხნის კოლექტივი. მუშებმა გადასწყვიტეს ახალ-ახალი საწარმოო მიღწევებით უპასუხონ ბრძანებას. მექანიკური საამქროს ხარატმა კომკავშირელმა კუკუშკინმა, რომელმაც ვალდებულება იკისრა სულ ცოტა ნორმის 250 პროცენტი გამოუშვას ყოველდღიურად, იმავე დღეს შეასრულა ნორმა 285 პროცენტით. მთელმა მექანიკურმა საამქრომ წინა დღესთან შედარებით 17 პროცენტით მეტი პროდუქცია გამოუშვა.

ენერგეტიკის მეშვიდენ უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებას ივანოველი ფეიერვერკერები. მოლოტოვის სახელობის ივანოვოს დიდი მანუფაქტურის საღამოს ცვლის მუშებმა ვალდებულება იკისრეს 135 პროცენტით შეასრულონ მესამე კვარტალის გეგმა. ივანოვოს მელანეის კომბინატის საამქროებში ფართოვდება შეჯიბრება წლის მეორე ნახევრის პროგრამის ვადამდე შესრულებისათვის.

ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა ქალაქ კუიბიშევის საწარმოებში. ქალაქის მშრომელებმა თავის გამოსვლებში ერთსულოვნად იკისრეს ვალდებულება უფრო კარგად იმუშაონ, უფრო მეტი პროდუქცია აძლიონ ფრონტს.

კუიბიშევის სადგურის მეორთქმლავლენი სტალინურ ვახტზე დადგნენ. ათასობით რკინიგზელი და მუშა გამოვიდა კვირაობაზე და ათობით კილომეტრი გზა შეაკეთა.

ამხანაგ სტალინის ბრძანებით აღფრთოვანებულნი, თავდადებით შრომობენ ბაკოს ნავთის მუშაკები. 24 ივლისს ღამით ათობით ტონა ნავთი ამოიღეს დავალების გადამეტებით „ლენინეფტის“ მე-9 სარეწის ნავთის მუშაკებმა. ასეულ ტონობით საწვავი მისცეს მთავარი სარდლობის განსაკუთრებულ ფონდს „აკადემიინეფტის“ მეორე სარეწმა, „არტემნეფტის“ პირველმა სარეწმა და სხვებმა.

წითელი არმიის წარმატებებმა აღაფრთოვანეს კიროვის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ქარხნის „დინამოს“ მთელი კოლექტივი. უბნები და საამქროები პატაკს იძლევიან გეგმის წარმატებითი შესრულების შესახებ. შემდუღებელმა საამქრომ ქარხანაში პირველმა დაამთავრა 24 ივლისს თვიური გეგმა. ვადამდე შეასრულეს მნიშვნელოვანი შეკვეთა სობოლევის ბრიგადის სტახანოველმა შემდუღებლებმა და ელისეევისა და მაკუშევსკის ბრიგადების ზეინკლებმა.

სმოლენსკის ოლქის ძერჟინსკის რაიონის კოლმეურნეობა „ზარიას“ წევრებმა მოისმინეს ამხანაგ სტალინის ბრძანება რადიოთი და ერთსულოვნად დაადგინეს: უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, ვადამდე გაუსწორონ ანგარიში სახელმწიფოს, წითელი არმიის მეომრებისადმი მათი გმირობისათვის მადლობის ნიშნად გადასცენ სამშობლოს დამცველთა ჯანმრთელობის ფონდს 450 კილოგრამი ახალი ბოსტნეული. (საკდესი).

ნითელი არმიის ახალი ბრწყინვალე გამარჯვება

ომ ქარხნის კოლექტივი, რომლის დირექტორია ამხ. მელაძე, 26 ივლისს საამქროებსა და ცვლებში უდიდესი აღფრთოვანებით გაეცნო უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ი. სტალინის 24 ივლისის ბრძანებას არმიის გენერალ ამხ. როკოსოვსკის, არმიის გენერალ ამხ. ვატუტინის, გენერალ-პოლკოვნიკ ამხ. პოპოვისადმი. მთელი ქარხნის კოლექტივი უსაზღვრო სიხარულით შეხვდა ცნობას ჩვენი ჯარების მიერ მოპოვებულ ახალ ბრწყინვალე გამარჯვებათა შესახებ, რის შედეგადაც საბოლოოდ ლიკვიდირებულია გერმანელთა ივლისის შემოტევა.

№ 5 საამქროში აგიტატორ კაპატაძის საუბრის შემდეგ სიტყვებით გამოსულმა ზეინკლმა ბრიგადირემა ტოკაშვილმა და მატიცინმა აღნიშნეს, რომ წითელმა არმიამ მთელ მსოფლიოს უჩვენა შეუპოვრობის, სიმტკიცისა და გმირობის სწორუპოვარი ნიმუშები. ჩვენი ჯარების მორიგი სახელოვანი გამარჯვება ზურგში მყოფ ყოველ საბჭოთა მოქალაქეს ამაყობს, ამაყობენ ომელნი. ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ, ვიმუშაოთ ისე, რომ ფრონტი ყოველთვის ავსებული ვიყოთ ყველაფერი საჭირო ნივთებით.

ორიოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ.

ორიოლის ჩრდილოეთით 6 შენაერთის ნაწილებმა, რომელნიც წინ მიიწევდნენ, 8 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ერთ პუნქტში ხელთ ვიგდეთ 2 საარტილერიო ბატარია, 3 ტანკი და სამარი მასალის საწყობი. ჩვენმა ნაწილებმა მოწინააღმდეგის რამდენიმე კონტრიერიში მოიგერიეს. მოსპობილია 800-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ორიოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 6 შენაერთის მებრძოლები მდინარე ოკის დასავლეთ ნაპირზე გადავიდნენ, უკუაქციეს ჰიტლერელები და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. ჩვენი ნაწილების დარტყმებით მოწინააღმდეგის მძიმე ზარალი მოსდის. დღის განმავლობაში დაზიანებულია მტრის 6 ტანკი, 4 თვითმავალი ქვემეხი და მოსპობილია 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია დაელა და წამოყენილია ტყვეები.

ორიოლის სამხრეთით 6 შენაერთის ნაწილებმა განდევნეს გერმანელები რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია მტრის 1.500 ჯარისკაცი და ოფიცერი, მოწინააღმდეგის 8 ტანკი, 10 ქვემეხი, 3 საარტილერიო და 5 სანაღმმტყორცნო ბატარია. სადგურ გლაზუნოვკის რაიონში გერმანელებმა 5-ჯერ მოიტანეს კონტრიერიში საბჭოთა ქვეგანაყოფებზე, მაგრამ 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჭკრგეს მოკლულთა სახით და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. სხვა უბნებზე ჰიტლერელები შეუპოვრად იცავდნენ ერთ დასახლებულ პუნქტს. ჩვენს ქვეითებს დაეხმარა სატანკო ქვეგანაყოფი მაიორ ლადოგას მეთაურობით. ტანკისტები თავიანთი ცეცხლის მთელი ძალით დაატყდნენ თავს გერმანელთა ქვეითს ჯარს და გაჰფანტეს ჰიტლერელები. ჩვენმა მებრძოლებმა, რომელნიც ტანკებს მიჰყვებოდნენ, მოსპეს მოწინააღმდეგის ჯარისკაცთა ნაშთები და დაიკავეს დასახლებული პუნქტი.

* * *

ბელგოროდის მიმართულებით ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ დაზვერვას და ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს. 6 ნაწილის მებრძოლებმა მარჯვე პოზიციები დაიკავეს. მოწინააღმდეგემ, რომელიც ცდილობს აღადგინოს მდგომარეობა, რამდენიმე კონტრიერიში მოიტანა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ჩვენმა მებრძოლებმა, რომელნიც მტკიცედ ინარჩუნებენ დაკავებულ პოზიციებს, გაანადგურეს 400-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანეს და დასწვეს მტრის 12 ტანკი, მოსპეს 34 ავტომანქანა სხვადასხვა ტვირთიანად. გვარდიის უფროს ლეიტენანტ რაშკევიჩის საზენიტო ბატარიამ დღის განმავლობაში მოწინააღმდეგის 4 ბომბდამშენი ჩამოაგდო. გერმანელთა ამდენიე თვითმფრინავი მოსპეს იმ [illegible]ის მეზენიტეებმა, რომლის მეთაური [illegible]ის უფროსი ლეიტენანტი ბელიჩი.

* * *

ეროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით მზვერავთა გაძლიერებული ძიება სწარმოებდა. 6 ნაწილი ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწოდა და პოზიციები აიღეს. ბრძოლებისა. მტერს წაგართვეთ 20 ტყვიამფრქვევი, 200-მდე შაშხანა. 93 ავტომატი. 52.000 ვაზნა და სხვა დაგვ. სხვა უბანზე გერმანელები ცდილობდნენ დაიკავებინათ პოზიციები, რომლებიც ამ დღეებში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა დაიკავეს. მოწინააღმდეგემ ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი და 7 ტანკი გადმოიყვანა კონტრიერიშზე. წითელარმიელმა ტანკისტებმა და სერჟანტმა გუსაროვმა გრანატებით დაიხიანეს გერმანელთა 3 მოწინავე ტანკი. მოწინააღმდეგის დანარჩენი ტანკები უკან გაბრუნდნენ. გერმანელთა ქვეითს ჯარს, რომელმაც სატანკო საფარველი დაჰკარგა, დიდი ზარალი მოუვიდა და უწესრიგოდ დაიხია უკან.

* * *

ოიზიუმის სამხრეთით აქტიურად მოქმედებდნენ მზვერავი რაზმები.

4-მა მფრინავმა-გამანადგურებელმა ლეიტენანტ ბონდარის მეთაურობით ეერიში მიიტანა გერმანელთა 25 ბომბდამშენზე, რომელნიც ავიაგამანადგურებელთა საფარქვეშ მოდიოდნენ. საბჭოთა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 4 თვითმფრინავი, დანარჩენებმა კი ბომბები მინდორში ჩამოჰყარეს და სწრაფად მიიმალნენ.

* * *

ჩვენმა ავიაციამ ბარენცის ზღვაში დარტყმა ავედა მოწინააღმდეგის ბადრაგს, რომელიც 5 ტრანსპორტისაგან, რამდენიმე ტრალერისა და სადარაჯო გემებისაგან შესდგებოდა. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით აფეთქდა და ჩაიძირა გერმანელთა ტრანსპორტი 12.000 ტონა წყალწყვისა. სხვა ასეთადვე ტრანსპორტს ცეცხლი გაუჩინეს. ბადრაგის მცველ მტრის ავიაგამანადგურებელთა წინააღმდეგ საჰაერო ბრძოლაში ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა 14 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ჩვენმა თვითმფრინავებმა ჩასძირეს აგრეთვე 30 მოწინააღმდეგის ერთი ტრანსპორტი რიგის ყურეში.

* * *

სუმის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა 15 დღის განმავლობაში ნაღმებზე აიფეთქა მოწინააღმდეგის 9 ეშელონი. დაიმსხვრა 9 ორთქმლავალი, 51 ვაგონი და 38 პლატფორმა სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად. გარდა ამისა, პარტიზანებმა მოშალეს სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირგაბმულობის ხაზი 6 კილომეტრზე მეტ მანძილზე. პარტიზანულმა რაზმმა „ზა როდინუმ“ ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა სამხედრო მატარებელი. მოკლული და დაჭრილია დიდძალი გერმანელი ფაშისტი ოკუპანტი, რომელნიც ამ მატარებლით მიდიოდნენ.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 377-ე ქვეითი დივიზიის 769-ე პოლკის 1-ლი ასეულის ეფრეიტორმა ჰენრიხ ფელკერმა განაცხადა: „5 ივლისს ასეულის მეთაურმა ობერ-ლეიტენანტმა ბაუმანმა ჯარისკაცებს განუცხადა, გერმანიის ჯარები, რომელთაც შეტევა დაიწყეს ბელგოროდისა და ორიოლის რაიონში, 8 ივლისს კურსკში იქნებიანო. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ შეტევა ჩაშალა და გერმანიის სარდლობის ყველა გეგმა კურსკის დაკავებისა და რუსების ჯარების გარშემორტყმისა, დაიმსხვრა“.

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა მე-3 სატანკო დივიზიის 394-ე პოლკის მე-3 ასეულის ეფრეიტორმა ვალტერ მიულერმა განაცხადა: „როცა შეტევა დაიწყო, ასეულის მეთაური გვეუბნებოდა, 3.4 დღის შემდეგ კურსკში ვიქნებითო. იგი მოიფიქრდა, რომ ჩვენ, ყოველი მსხვერპლის მიუხედავად, წინ წავიწიეთ. დივიზიას მძიმე ზარალი მოსდიოდა, მაგრამ წინ მეტად ნელა მიიწევდა. მალე რუსები კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ და ჩვენ იძულებული გავხდით უწესრიგოთ დაგვეხია უკან. ასე სავალალოდ დამთავრდა ჩვენი საზაფხულო შეტევა“.

ბელგოროდის მიმართულებით

ბელგოროდის მიმართულებით ჩვენი ჯარები აწარმოებენ დაზვერვას და ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს. 6 ნაწილის მებრძოლებმა მარჯვე პოზიციები დაიკავეს. მოწინააღმდეგემ, რომელიც ცდილობს აღადგინოს მდგომარეობა, რამდენიმე კონტრიერიში მოიტანა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ჩვენმა მებრძოლებმა, რომელნიც მტკიცედ ინარჩუნებენ დაკავებულ პოზიციებს, გაანადგურეს 400-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანეს და დასწვეს მტრის 12 ტანკი, მოსპეს 34 ავტომანქანა სხვადასხვა ტვირთიანად. გვარდიის უფროს ლეიტენანტ რაშკევიჩის საზენიტო ბატარიამ დღის განმავლობაში მოწინააღმდეგის 4 ბომბდამშენი ჩამოაგდო. გერმანელთა ამდენიე თვითმფრინავი მოსპეს იმ [illegible]ის მეზენიტეებმა, რომლის მეთაური [illegible]ის უფროსი ლეიტენანტი ბელიჩი.

* * *

ეროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით მზვერავთა გაძლიერებული ძიება სწარმოებდა. 6 ნაწილი ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწოდა და პოზიციები აიღეს. ბრძოლებისა. მტერს წაგართვეთ 20 ტყვიამფრქვევი. 200-მდე შაშხანა. 93 ავტომატი. 52.000 ვაზნა და სხვა დაგვ. სხვა უბანზე გერმანელები ცდილობდნენ დაიკავებინათ პოზიციები, რომლებიც ამ დღეებში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა დაიკავეს. მოწინააღმდეგემ ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი და 7 ტანკი გადმოიყვანა კონტრიერიშზე. წითელარმიელმა ტანკისტებმა და სერჟანტმა გუსაროვმა გრანატებით დაიხიანეს გერმანელთა 3 მოწინავე ტანკი. მოწინააღმდეგის დანარჩენი ტანკები უკან გაბრუნდნენ. გერმანელთა ქვეითს ჯარს, რომელმაც სატანკო საფარველი დაჰკარგა, დიდი ზარალი მოუვიდა და უწესრიგოდ დაიხია უკან.

* * *

ოიზიუმის სამხრეთით აქტიურად მოქმედებდნენ მზვერავი რაზმები.

4-მა მფრინავმა-გამანადგურებელმა ლეიტენანტ ბონდარის მეთაურობით ეერიში მიიტანა გერმანელთა 25 ბომბდამშენზე, რომელნიც ავიაგამანადგურებელთა საფარქვეშ მოდიოდნენ. საბჭოთა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 4 თვითმფრინავი, დანარჩენებმა კი ბომბები მინდორში ჩამოჰყარეს და სწრაფად მიიმალნენ.

* * *

ჩვენმა ავიაციამ ბარენცის ზღვაში დარტყმა ავედა მოწინააღმდეგის ბადრაგს, რომელიც 5 ტრანსპორტისაგან, რამდენიმე ტრალერისა და სადარაჯო გემებისაგან შესდგებოდა. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით აფეთქდა და ჩაიძირა გერმანელთა ტრანსპორტი 12.000 ტონა წყალწყვისა. სხვა ასეთადვე ტრანსპორტს ცეცხლი გაუჩინეს. ბადრაგის მცველ მტრის ავიაგამანადგურებელთა წინააღმდეგ საჰაერო ბრძოლაში ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა 14 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ჩვენმა თვითმფრინავებმა ჩასძირეს აგრეთვე 30 მოწინააღმდეგის ერთი ტრანსპორტი რიგის ყურეში.

* * *

სუმის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა 15 დღის განმავლობაში ნაღმებზე აიფეთქა მოწინააღმდეგის 9 ეშელონი. დაიმსხვრა 9 ორთქმლავალი, 51 ვაგონი და 38 პლატფორმა სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად. გარდა ამისა, პარტიზანებმა მოშალეს სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირგაბმულობის ხაზი 6 კილომეტრზე მეტ მანძილზე. პარტიზანულმა რაზმმა „ზა როდინუმ“ ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა სამხედრო მატარებელი. მოკლული და დაჭრილია დიდძალი გერმანელი ფაშისტი ოკუპანტი, რომელნიც ამ მატარებლით მიდიოდნენ.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 377-ე ქვეითი დივიზიის 769-ე პოლკის 1-ლი ასეულის ეფრეიტორმა ჰენრიხ ფელკერმა განაცხადა: „5 ივლისს ასეულის მეთაურმა ობერ-ლეიტენანტმა ბაუმანმა ჯარისკაცებს განუცხადა, გერმანიის ჯარები, რომელთაც შეტევა დაიწყეს ბელგოროდისა და ორიოლის რაიონში, 8 ივლისს კურსკში იქნებიანო. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ შეტევა ჩაშალა და გერმანიის სარდლობის ყველა გეგმა კურსკის დაკავებისა და რუსების ჯარების გარშემორტყმისა, დაიმსხვრა“.

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა მე-3 სატანკო დივიზიის 394-ე პოლკის მე-3 ასეულის ეფრეიტორმა ვალტერ მიულერმა განაცხადა: „როცა შეტევა დაიწყო, ასეულის მეთაური გვეუბნებოდა, 3.4 დღის შემდეგ კურსკში ვიქნებითო. იგი მოიფიქრდა, რომ ჩვენ, ყოველი მსხვერპლის მიუხედავად, წინ წავიწიეთ. დივიზიას მძიმე ზარალი მოსდიოდა, მაგრამ წინ მეტად ნელა მიიწევდა. მალე რუსები კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ და ჩვენ იძულებული გავხდით უწესრიგოთ დაგვეხია უკან. ასე სავალალოდ დამთავრდა ჩვენი საზაფხულო შეტევა“.

ბელგოროდის ზაფხულის შემოტევის გეგმა სრულებით ჩაშალა

უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ **სტალინის** სახელობის თბილისის ორთქმლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეები უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ი. სტალინის 24 ივლისის ბრძანებას ორიოლის სამხრეთით და ბელგოროდის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებიდან კურსკისაკენ გერმანელთა ივლისის შემოტევის საბოლოოდ ლიკვიდაციის შესახებ.

ახალგაზრდა სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. რ. ატუაშვილმა ქარხნის მთელი კოლექტივის აზრი გამოხატა. როცა განაცხადა:

— გერმანელთა ახალმა საზაფხულო შემოტევამ ჩვენს ჯარებს მოუმზადებელს როდი მოუსწრო. მათ არა მარტო მოიგერიეს გერმანელთა შემოტევა, არამედ მძლავრი კონტრდარტყმებიც აგებეს ვერაგ მტერს. ჩვენმა მეომრებმა შეუპოვრობის, სიმტკიცის, გმირობისა და სიმამაცის სწორუპოვარი ნიმუშები გვიჩვენეს. მათ კვლავ ასახელეს საბჭოთა ხალხ კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობას ფრონტის დასახმარებლად.

ბრიგადის სახელით ივანენკომ ვალდებულება აიღო, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავისათვის ბრიგადა წლიურ საწარმოო გეგმას 10 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულებს. ორდენოსანმა მემანქანეებმა ამხ. შ. კოხრეიძემ და ნ. გვენეტაძემ აიღეს ვალდებულება ორთქმლმავლის აწევითი რემონ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

25 ივლისის ოპერაციული ცნობა

25 ივლისის განმავლობაში ჩვენი ჯარები ორიოლის მიმართულებით, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობასა და იერიშებს, განაგრძობდნენ შეტევას, წინ წაწიეს 4-დან 9 კილომეტრამდე და დაიკავეს 30 დასახლებული პუნქტი, მათ შორის: რიბნიცა, გრემიაჩეკი, ზასარაოკა, ლეგედიხა, კოროლინეცი, ვერხნეე ტაგინო, ნიჟნეე ტაგინო, სადგური გლაზუნოკა და ორიოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ოკის დასავლეთ ნაპირზე დასახლებული პუნქტები—პასხომოვო, ჩიჟოკა, ნარიკოვო.

გელგოროდის მიმართულებით მზვერავები მოქმედებდნენ და ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები იყო.

სამხრეთში, დონბასში, იზიუმის სამხრეთით მდებარე რაიონში და ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით გაძლიერებით მოქმედებდნენ მზვერავები.

24 ივლისის განმავლობაში ყველა ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 64 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 56 თვითმფრინავი.

* * *

ორიოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ.

ორიოლის ჩრდილოეთით 5 შეიარაღებული ძალა მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა, მოიგერია კონტრიერიშები და წინ წაიწია. ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ ძლიერი კონტრიერიშები მოიტანა. გერმანელები დაეინებით მოიერებოდნენ წინ, ბაგრამ, დაჭკარგეს რა 6 მძიმე ტანკი და 700-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულთა სახით, იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ. სხვა უბნებზეც ჰიტლერელები რამდენჯერმე გადმოვიდნენ კონტრიერიშზე, მაგრამ გაფანტულ იქნენ საბჭოთა ქვეგანაყოფების ცეცხლით.

ორიოლის აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები შეტევას განაგრძობდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. დასძლიეს რა მტრის „წინააღმდეგობა, 6 შენაერთოს მებრძოლებმა დაზიანეს გერმანელთა 7 ტანკი, მოსპეს 1.500-ზე მეტი ჰიტლერელი და ხელთ იგდეს მრავალი ტყვე. ტანკის მსროლელმა რაფანტაკა, უფროსმა სერჟანტმა მასლენიკოვმა, მტრის კონტრიერიშის მოგერიებისას, ზარბაზნის ცეცხლით დაზიანა გერმანელთა 3 მძიმე ტანკი „ვეფხვი“ და გაჟალეტა მოწინააღმდეგის 40 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ორიოლის სამხრეთით ჩვენი ჯარები, ამსტვრევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას, წინ მიიწევდნენ და განდევნეს გერმანელები მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან. 5 ნაწილის მებრძოლებმა დაზიანეს და დასჭეს გერმანელთა 10 ტანკი და მოსპეს მოწინააღმდეგის 600-მდე ჯარისკაცი. 5 ნაწილის ქვეგანაყოფმა იერიშით აიღო ერთი მნიშვნელოვანი მაღლობი. გერმანელები კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. უმცროსმა სერჟანტმა კოკორეზოვმა ღია პოზიციაზე გამოიგერია ქვემეხი და მარჯვე ცეცხლით მოსპო მოწინააღმდეგის 2 ტანკი და 2 თვითმავალი ქვემეხი. გერმანელთა ქვეითმა ჯარმა, რომელიც მოკლებული აღმოჩნდა ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხების დახმარებას, უკან დახევა დაიწყო. ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჰიტლერელთა დიდი ნაწილი გაჟალეტილ იქნა.

ჩვენი ავიაცია აქტიურად უწყობდა ხელს ქვეითი ჯარის ნაწილების მოქმედებას და ურტყამდა თავმოყრილ გერმანელ ფაშისტთა ჯარებს. დაბომბვის შედეგად მოსპობილია მოწინააღმდეგის დიდძალი ქვეითი ჯარი და ტექნიკა. მფრინავმა ლეიტენანტმა ვლადიმერ ხარიტონოვმა და შტურმანმა—უფროსმა ლეიტენანტმა პეტრე ბურმისტროვმა ფრონტისპირა ზოლზე გაფრენისას შეამჩნიეს გერმანელთა ავიაგამანადგურებელი „ფოკე-ვულფ—190“, რომელიც პიწაზე იმყოფებოდა, და ტყვიამფრქვევის ჯერით ცეცხლი წაუკიდეს ძს. განაგრძო რა ფრენა, მფრინავებმა შეამჩნიეს გერმანელთა 7 ბომბდამშენი „იუნკერს—88“, რომლებიც ჩვენი ჯარების დასაბომბავად მოემართებოდნენ. ხარიტონოვი და ბურმისტროვი თავს დაესხნენ მტერს, ჩამოაგდეს გერმანელთა 2 თვითმფრინავი და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ აეროდრომზე.

* * *

ბელგოროდის მიმართულებით ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა და მზვერავები მოქმედებდნენ. 5 ნაწილის მებრძოლებმა, იცავდნენ რა თავიანთი შენაერთის ფლანგს, მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების რამდენიმე იერიში. ბრძოლის შედეგად მოსპობილია გერმანელთა 9 ტანკი, 2 სანაღმტყორცნო ბატარია და ორ ასეულამდე ჰიტლერელი. სხვა უბანზე წითელარმიელთა რაზმი, გვარდიის ლეიტენანტ ნიკიფოროვის მეთაურობით, ორი საათის განმავლობაში აკავებდა მოწინააღმდეგის ტანკებისა და მეავტომატეთა ჯგუფის კონტრიერიშს. ჩვენმა მებრძოლებმა დაჯნეს და დაზიანეს 13 ტანკი და გაჟალეტეს 80 გერმანელი მეავტომატე. მფრინავმა მაიორმა ოლხოვსკიმ დღის განმავლობაში ჩამოაგდო მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი, ხოლო უფროსმა ლეიტენანტმა ბელოუსოვმა—2 თვითმფრინავი.

* * *

იზიუმის სამხრეთით მზვერავები მოქმედებდნენ. გუშინ 5 შენაერთმა მოიგერია მტრის რამდენიმე კონტრიერიში, რომელთა მსვლელობაშიც მოსპობილ იქნა 800-მდე ჰიტლერელი. სხვა უბანზე გვარდიის 5 ნაწილმა ხუთი დღის ბრძოლების განმავლობაში გაატეხინა თავისი პოზიციები და ხელთ იგდო 78 ქვემეხი, 89 ნაღმსატყორცანი, 187 ტყვიამფრქვევი, 8.000-ზე მეტი შაშხანა 5 რადიოსადგური და სხვა დაკლ.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ უბანზე ჩვენი მზვერავი ჯგუფი ფარულად მიადგა მოწინააღმდეგის განლაგებას და უეცრად შეეჭრა მის სანგრებში. ხანმოკლე შეტაკებაში მზვერავებმა მოსპეს რამდენიმე ათეული ჰიტლერელი, ხელთ იგდეს მათი იარაღი და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში. სხვა უბანზე არტილერიის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 3 ქვემეხი, 4 ტყვიამფრქვევი, დანგრეულია მტრის 7 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი.

* * *

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი გაფფრთხილებულ ბრძოლებს ეწეოდა გერმანელთა 223-ე ქვეითი დივიზიის 344-ე პოლკის ქვეგანაყოფებთან. საბჭოთა პატრიოტებმა გაჟალეტეს 154 ჰიტლერელი, აიფეთქეს საწყობი საომარ მასალებიანად, ხელთ იგდეს ქვემეხი, რადიოსადგური, ავტომატები და შაშხანები. ლენინგრადის სხვა რაზმის პარტიზანები 14 ივლისს ღამით უეცრად დაესხნენ თავს დასახლებულ პუნქტს, რომელშიც 300 გერმანელი კავალერისტი იმყოფებოდა. გერმანელებმა რომლებსაც მოულლინელად წაადგნენ თავს, სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ვერ შესძლეს, ხანმოკლე შეტაკებაში პარტიზანებმა მოსპეს 100-ზე მეტი ჰიტლერელი.

* * *

გერმანელთა მე-2 სატანკო დივიზიის მე-2 სატანკო პოლკის ეფრეიტორმა ჰენრიხ ლ-ვ, რომელიც წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა, განაცხადა: „ზამთარში, როცა გერმანიის არმია მძიმე დამარცხებებს განიცდიდა, ოფიცრები ანუგეშებდნენ ჯარისკაცებს. ისინი გვეუბნებოდნენ: „სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით მალე ზაფხული ნოვა და ჩვენ ჩვენსას ვიზამთო“. პოლკის მეთაური, ჰოდპოლკოვნიკი ბუკი ყველა შემოწმებაზე იმეორებდა: „ზაფხულში გერმანიის არმიის გრანდიოზული შეტევა დაიწყება და ჩვენ რუსებს გადავუხდით სტალინგრადისათვის, კავკასიისათვის, ყველაფრისათვისო!“ დადგა ზაფხული. 5 ივლისს ჩვენ შეტევაზე გადმოვედით. გაჩაღდა გაფფრთხილებული ბრძოლები, რომლებშიც დივიზიის უდიდესი ზარალი მოუვიდა. მე-2 პოლკის ზოგიერთ ასეულში 20-25 კაცი დარჩა. მალე ცხადი გახდა, რომ გერმანიის არმიის შეტევამ კრახი განიცადა, უფრო მეტი: რუსები თვითონ გადმოვიდნენ შეტევაზე და ამით დაეუფლნენ ზაფხულს, რომელიც გერმანელებს დღემდე გერმანელთა იარაღის წარმატებათა მონოპოლურ სეზონად მიაჩნდათ. ამან ჯარისკაცებზე თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა“.

ბრძოლები იზიუმის სამხრეთით

მოსკოვი არმია, 25 ივლისი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). იზიუმის სამხრეთით მდებარე რაიონში, რამდენიმე დღეა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები მიმდინარეობს. ამ ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა გერმანელებს წაართვეს მთელი რიგი ხელსაყრელი პოზიციები. ჰიტლერელები დიდ ხაზს ანაგრებდნენ ამ პოზიციებს იმ ვარაუდით, რომ ისინი გამოდგებოდნენ საწყის ზღუდეებად საბჭოთა ნაწილებზე დარტყმისათვის. გერმანელები ისწრაფვიან დაიბრუნონ დაკარგული პოზიციები და ძლიერი კონტრიერიშები მოაქვთ, რომლებსაც მედგრად იგერიებენ ჩვენი მებრძოლნი.

ინიციატივისა და გაბედული მანევრის განსაცვიფრებელ ნიმუშებს იჩენენ ამ ბრძოლებში წითელარმიელები და მეთაურები. მსროლელმა ბატალიონმა ბრძანება მიიღო გადაესახა მდინარე ბატალიონი ზედ გადასასვლელთან ნაღმსატყორცნთა ძლიერ ცეცხლში მოჰყვა. წითელარმიელები გაწვნენ. მაშინ ოცეულის მეთაურმა გვარდიის ლეიტენანტმა შაპოშნიკოვმა მიირბინა მდინარისთან და წყალში გადაეშვა. შაპოშნიკოვის მამაცურმა საქციელმა ყველა მებრძოლი აღაფრთოვანა. ზოგი ცურვით, ზოგი გადასაზიდი საშუალებებით გადადიოდა მდინარეს. ბატალიონმა სწრაფად გადალახა წყლის ზღუდე და ბრძოლაში ჩაება. შემდგომ წინსვლას ხელს უშლიდა ცეცხლი, რომელსაც ფაშისტები ბლინდაჟიდან გვიშენდნენ. უფროსი სერჟანტი მამუნცი და მებრძოლი დაუშვილი მიხოხდნენ ბლინდაჟთან და გრანატები დაუყარეს. მტრის ტყვიამფრქვევები დადუმდნენ. ოცდაათი გერმანელიდან თვრამეტი მოკლულ იქნა, სხვები ტყვედ ჩავიგდეთ.

ერთი ჩვენი ასეული იერიშზე მიდიოდა. გზაზე გადაეღობა გერმანელთა საარტილერიო ბატარია. ასეულის კომორგი გრიგორიეკო მებრძოლთა ჯგუფთან ერთად გაბედულად ეკვეთა ბატარიას. ხელჩართულ შეტაკებაში მათ მტრის 15 არტილერისტი გაჟალეტეს. გერმანელთა 4 ქვემეხი მიბრუნეს და უკუქცეულ გერმანელებს დაუშინეს.

საბრძოლო აღფრთოვანება იმდენად დიდი იყო, რომ დაჭრილნიც კი არ სტოვებდნენ მწყობრს, ერთეულნი ფაშისტთა მთელ ჯგუფებს უმართავდნენ ბრძოლას. მებრძოლი პეტროვი ხელჩართულ შეტაკებაში გადაეშვა გერმანელთა ჯგუფის წინააღმდეგ. 6 ჰიტლერელი მან ხიშტით განგმირა, ხოლო როცა მას შაშხანა ხელიდან გააგდებინეს, იგი უიარაღო ეცა გერმანელ ეფრეიტორს და დაახრჩო. ერთი სოფლის დაკავებისას ორივე ფეხში დაიჭა ასეული მეთაური ლეიტენანტი ლუჩინი. ათ გერმანელს სურდა ტყვედ წაეყვანა იგი. მძიმედ დაჭრილმა ლუჩინმა რევოლვერით მოჰკლა რვა ჰიტლერელი, ორმა ხელება ასწია მაღლა და თვითონ დაენებდნენ ტყვედ.

რამდენიმე საათს ზედიზედ იგერიებდა გერმანელთა კონტრიერიშს 5 ქვეგანაყოფი. დინჯად აწვებოდა რა თავისი შაშხანის სასხლეტს, დამიზნებით ისროდა მებრძოლი კომუნისტი ჩერნობროვკო. კონტრიერიშის მოგერიებისას მან 35 ჰიტლერელი გაჟალეტა. გერმანელთა ოთხმა დაზგის ტყვიამფრქვევმა თავს დაატეხა ცეცხლი სამოიოლის ტყვიამფრქვევს, მაგრამ მეტყვიამფრქვევე როდი შედრკა. ჰიტლერელებმა ვერ გამოიარეს მის უბანზე.

ბრძოლები იზიუმის სამხრეთით არ სწყდება. გერმანელთა ყველა ცდა დაიბრუნონ ბრძოლების მსვლელობაში დაკარგული პოზიციები, მათთვის წარმატებით არ მთავრდება. ჩვენი ჯარები მედგრად იგერიებენ გერმანელთა ყველა კონტრიერიშს და გაბედული იერიშებით იუმჯობესებენ პოზიციებს.

ა. სტეკოლნიკოვი

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღესასწაული

25 ივლისს მთელი ჩვენი ქვეყანა აღნიშნავდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ტრადიციულ დღეს. მოსკოვში იგი აღნიშნულ იქნა მრავალრიცხოვანი სასპორტო შეჯიბრებით. ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა ზღვისპირა მოსკოვზე ღაგვანახვეს თავიანთი დახელოვნება სხვადასხვა სახის წყლის სპორტში. სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე გასაკუთრებული ზეიმით ლენინგრადში აღინიშნა. გემებზე, წითელი არმიის ნაწილებსა და საწარმოებში გაიმართა საუბრები რუსული ფლოტის გმირული წარსულისა და მისი საბრძოლო საქმეების შესახებ სამამულო ომის დღეებში საღამოს, გაიმართა საერთოსაქალაქო რადიომიტინგი.

მურმანსკში წითელფლოტელები, მეთაურები, წითელი არმიისა და მწრომელთა დელეგატები შეიკრიბნენ მაღალ კლდეზე, რომლის ძირშიც არის ნავსადგური. ათი წლის წინათ აქ ამხანაგი სტალინი იყო და მითითება მისცა აეგოთ ჩრდილოეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზა. ამ ადგილას სამახსოვრო დაფის საზეიმო გახსნა მოხდა.

24 ივლისს ჩრდილოეთის ფლოტის ათი წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო საღამოზე გამოქვეყნებულ იქნა ამხანაგ სტალინის მისასალმებელი დეპეშა. ბელადის მისალმებას უდიდესი ენტუზიაზმით შეხვდნენ ჩრდილოზღველები. ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა წყალქვეშა ცურვის წითელდროშოვან ბრიგადაში.

ნოვოსიბირსკის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ შესანიშნავი სარეკორდო ფაქიარი ჩრდილოზღველებს. 25 ივლისს მათ წყალქვეშა ნავი „ნოვოსიბირსკი კომსომოლეცი“ გადასცეს მეზღვაურებს. (საკდესი).

რკინიგზელის საკავშირო დღის წინ

გზის უფროსის მაღლობა მოწინავე ლიანდაგელებს

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის უფროსმა ამხ. გ. კიკვაძემ ბრძანებით მადლობა გამოუცხადა დასაჯილდოვა ხაშურის სალიანდაგო დისტანციის ის მუშაები, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს დავალება და საისრე გადამყვანები ღორღზე დააყარეს. დაჯილდოებულთა შორის არიან: ხაშურის სალიანდაგო დისტანციის უფროსი ნ. ნავორინი, გზის ოსტატები—ლაბაძე და შარვაძე, ბრიგადირები—ჯუფაძე და კაპანაძე, რემონტის მუშები—გ. ფალავანდიშვილი, ტაბატაძე, მარგილაძე, გელაშვილი, მიქაძე და სხვ.

საისრე გადამყვანების ღორღზე დაყენებაში კარგ შედეგებს მიაღწიეს ავრეთვე შეათე და მეთექვსმეტე დისტანციების მუშაკებმა, რომელთაც გზის უფროსმა მადლობა ვამოუცხადა. დასახელებული სალიანდაგო დისტანციების მუშათა კოლექტივები ახალი საწარმოო საჩუქრებით ხვდებიან რკინიგზელის საკავშირო სტალინური დღეს.

წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები. სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ — ზემო რიგში: სოფ. ზემო ქედის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზით“-ის თავმჯდომარე ორდეოსანი, კობა ჩიხელი, ამავე კოლმეურნეობის მედალოსანი კომბაინერი ა. ბექაური, წითელწყაროს ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრები ე. ხეჩუმოვა და ზ. კონდრატიევი; მეორე რიგში: სოფ. ზემო ქედის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ თავმჯდომარე ხ. ბექაური, შირაქის მტს-ის ტრაქტორისტი თ. ხუციურაული, კომბაინერები ნ. კობაიძე და ლ. ბაინდურაშვილი; მესამე რიგში: ელდარის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი ვ. ჩერნომუროვა და კომბაინერი მ. ჩერნომუროვი, ბრიგადირები ა. ფაჩულია-ბაბიჩი და ლ. პატარაია.

ფოტო რ. აკოფოვისა

სამხედრო ფემპეებით ავიღოთ უხვი მოსავალი

წითელწყაროს („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რაიონში ფართოდ არის გაჩაღებული სამხედრო მოსავლის აღება. სოფ. სობათლოს მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობამ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება უკვე დაამთავრა. ამ კოლმეურნეობამ 310 ჰექტარზე მოსავალი ხელით აიღო, დანარჩენ 40 ჰექტარზე კი კომბაინით. მოსავლის აღებაში მოწინავენი არიან აგრეთვე სოფ. ზემო ქედის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზით“, სოფ. წითელი არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკი“, წითელწყაროს კოლმეურნეობა „მტს-ის გზით“ და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

რაიონის ბევრმა კოლმეურნეობამ უბრუნველჰყო წელს მაღალი მოსავლის მიღება. წითელწყაროს პირველი მაისისა და კალინინის სახელობის კოლმეურნეობები, აგრეთვე სოფ. არბოშიკის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა ჰექტარზე საშუალოდ 15-20 ცენტნერს და ზოგან მეტ პუთს აღებენ.

მოსავლის აღება ფრიად სერიოზული საქმეა. ყველაზე მეტი სისწრაფე სწორედ მოსავლის აღებისას არის საჭირო. მოსავალმა დაცდა არ ი